საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის
2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 19 ნოემბრის =67 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. **დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი;**
2. **ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაინტერესებულ სამსახურებთან ერთად, შეიმუშაოს დანამატის დანიშვნის წესი და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 1 თვის ვადაში.**

სტუ-ის სენატის
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) დასაქმებულ პირებზე პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. პრემიის გაცემის საფუძველი და მიზნები

1. პრემია გაიცემა უნივერსიტეტში დასაქმებულ პირზე, მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ასევე, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

2. პრემიის გაცემა ხდება უნივერსიტეტში დასაქმებული პირის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე. დასაბუთებაში უნდა მიეთითოს

გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან, ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიის შესახებ.

3. პრემიის მიზანია, უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე, დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა.

მუხლი 4. პრემიის გაცემის წესი

1. უნივერსიტეტში დასაქმებულ პირზე პრემიის გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, რექტორის მოადგილეებს, აკადემიური/წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი (ინსტიტუტი, ცენტრი, და სხვ.) ერთეულის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ პირებზე პრემიის გაცემის საკითხის ინიცირებას ახდენს მისი ზემდგომი თანამდებობის პირი.

3. პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 5. პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა

1. უნივერსიტეტში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს.

2. პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ და ასევე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვება სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 6. ფინანსური დახმარების გაცემის საფუძველი

1. ფინანსური დახმარების გაცემა დასაქმებულზე შესაძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის (დასაქმებულის ან მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრის), მძიმე მატერიალური მდგომარეობის ან გარდაცვალების (დასაქმებულის ან მისი ოჯახის წევრის) შემთხვევაში.

2. დასაქმებულზე გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს (კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების ჩათვლით).

3. დასაქმებულის ან მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შესაძლებელია ფინანსური დახმარების გაწევა მხოლოდ იმ თანხაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს ან/და ცდება სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა.

4. გარდაცვალების შემთხვევაში ფინანსური დახმარების თანხა გაიცემა დასაქმებულის პირველი რიგის მემკვიდრეზე.

5. ფინანსური დახმარების გაცემა ერთი და იგივე პირზე, როგორც წესი, შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 7. ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1. ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორატი, ხოლო ფაკულტეტის პერსონალზე - ფაკულტეტის საბჭო.

2. ფინანსური დახმარების გაწევის მოთხოვნაზე განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს რექტორს.

3. რექტორატის ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ერთობლივი ბრძანება ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

4. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ფინანსური დახმარების გაცემის შემდეგ, თანხის მიმღები ვალდებულია შესაბამისად, რექტორატს ან ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს თანხის მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი მასალები.

მუხლი 8. საპრემიო და ფინანსური დახმარების ფონდის ფორმირების პრინციპი

1. საპრემიო და ფინანსური დახმარების ფონდის ფორმირების წყაროა უნივერსიტეტის ერთიანი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტი, მათ შორის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა საპრემიო და ფინანსური დახმარების ფონდის ფორმირების წყაროა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტი, ხოლო უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით (ინსტიტუტი, ცენტრი, და სხვ.) ერთეულში დასაქმებულ პირთათვის - შესაბამისი ერთეულის ბიუჯეტი.

2. უნივერსიტეტში დასაქმებულ პირზე პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის (ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრი და სხვ.) ერთეულის) შესაბამისი წლის ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან.